№ 35 თებერვალი 16, პარასკევი 1890 თებერვალი 16, პარასკევი № 35

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6	6 —
11 . . .	9 50	5	5 50
10 . . .	9 75	4	4 75
9 . . .	8 —	3	3 50
8 . . .	7 25	2	2 75
7 . . .	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

კნეინა ლიუბოვ პეტრე ბაზილევსკის ასული, კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული და კნიაზ კონსტანტინე დიმიტრის ძე ერისთავები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა და სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ შვიდის დღის პანაშვიდზედ მიცვალებულის თავად ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავისა, რომელიც გადახდილ იქნება დიდუბის ეკკლესიაში ნაშუადღევის ორს საათზედ, შაბათს, 17 თებერვალს. (2—1)

„ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაბამისს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გოლკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

ახალი ამბავი

*** დღეს, 16 თებერვალს, 7 1/2 საათზე, დანიშნულია ტფილისის მკურნალთა საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ კრება მოისმენს ბ-ნ არტემიევის მოხსენებას ავადმყოფ და საღ მშობიარეთა მდგომარეობის შესახებ; ბ-ნი შურიგინი წაიკითხავს წერილს თიონეთის ბანაკის ადგილ-მდებარეობის თაობაზე; ტცარიანოვიჩი უამბობს ერთის ძნელის ავადმყოფობის მორჩენის გარემოებას. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

*** ხვალ, 17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებისა. კრება განიხილავს, ვის მიეცეს ჯილდო რუსეთის საიმპ. სატეხნიკო საზოგადოებისა 1880 წლის კავკასიის გამოფენის ექსპონენტებში. გ-ნი კოლდევინი წაიკითხავს მოხსენებას: „შეკუმშული ჰაერი, მისი გამოყენება დღეს და მისი მოხმარება შემდეგში“.

*** ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ ფრანგთა საოპერეტო დასის არტისტები და ამ დიდ-მარხვაში დაიწყებენ ოპერეტების წარმოდგენას.

*** კვირას, 18 თებერვალს, თვალების ექიმი ბ-ნი რეიხი წაიკითხავს «ტფილისის კრუჟოკში» ლექციას: «რას აკეთებს ქვეყანა უსინათლოთა ბედის განკარგებისათვის».

*** ტფილისში მალე გაჩნდება გასასყიდად ბიუსტი, წელ ზეითი ქანდაკება განსვენებულის ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძისა. ამ ქანდაკებას ამზადებს ბ-ნი ხოდოროვიჩი, რომელმაც განსვენებულის სახის მოყვანილობა უკვე გადიღო მიცვალებულის დასაფლავების დღეს.

*** საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით ამ დიდ-მარხვაშიაც იქნება ტფილისის ეკკლესიებში კითხვა და თქმა მოძღვრებათა სამწყსოსათვის რუსულად და ქართულად. ქართულად უმოძღვრებენ სამწყსოს შემდეგს ეკკლესიებში: სიონში, კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში, ამაღლებისა და ქაშუეთისაში.

*** სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში პროფესორის ქიმიკოს ღვინის დამყენებელ სალამონისაგან მოუვიდა „ღვინის ქიმიურ ანალიზის სახელმძღვანელო“ (руководство въ химическому анализу вина) საკუთარის დამატებანით, თარგმნილი ნ. მ. ჩერეჩუკინისაგან და სალამონის რედაქტორობით დაბეჭდილი. წიგნში ჩართულია ორი ტაბლიცა და 24 სურათი. ამ წიგნში მოყვანილია მრავალი ცნობა შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა დააყენონ ღვინო, როგორ მოუარონ და შეინახონ და ან როგორ გაარჩიონ გადაკეთებულ-შერეული ღვინო ბუნებრივ ღვინისაგან. დასასრულ სალამონი იწერება, რომ ხსენებული წიგნი სამეურნეო საზოგადოებამ თავის ხარჯზე დაბეჭდოს და გაავრცელოს კავკასიაში. როგორც შევიტყეთ, საზოგადოებას სიამოვნებით მიუღია მეცნიერ სალამონის წინადადება.

*** ჩვენს რედაქციას კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოსდის სამდურავის წერილი იმის შესახებ, რომ სამეურნეო გამოფენისთვის წარმოგზავნილ ნაკეთებ-ნამუშევარზე დღემდის არაფერი ცნობა არ მოგვდისო. იწერებიან, რომ არ ვიცით რა მოუვიდა ჩვენს ნაწარმოებს, ან ვისგან უნდა დაგვიბრუნდეს უკანვეო.

*** მრავალი წერილი და დეპეშა სამძიმრისა მოგვდის, როგორც ჩვენ, ისე განსვენებულის დ. ბაქრაძის სახლობას. აი ზოგიერთ შორის: თ. ნიკოლოოზ ვეზირიშვილი გვწერს დეპეშით ოსიაურიდამ, გთხოვთ გამოუცხადოთ ღრმა მწუხარება ჩემი და ჩემის ოჯახისა განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის სახლობას იმის გამო, რომ ასეთი დიდი დასაკარგი დაჰკარგა როგორც მან, ისე საქართველოს ისტორიამო. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გადაეიხადეთ პანაშვიდი აქ, ოსიაურში, იმ ს მამა-პაპათა დედა-ქვეყანაშიო.

*** ოზურგეთიდამ გვწერენ დეპეშით ეე იქაურნი მასწავლებელნი: გადაეიხადეთ პანაშვიდი განსვენებულის დიმიტრის სულის მოსახსენებლად. გთხოვთ განუცხადოთ მიცვალებულის სახლობას ჩვენი ღრმა მწუხარება, რომ დავკარგეთ მართლის მოყვარე სწავლული, მამა საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისა, დაუღალავი მოღვაწე და პატიოსანი მამულიშვილი. ღმერთმა მისცეს ნუგეში განსვენებულის სახლობას და ჩვენ ქართველებს — მეორე იმისთანავე დიმიტრი ისტორიის ასპარეზზე სამოღვაწეოდ.

*** სახალხოდ ვილოცე ეკკლესიაში სულის მოსახსენებლად მიცვალებულის მეუღლისა თქვენისა, სწერს დეპეშით გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა მიცვალებულის ქვრივს, და ვიზიარე განზიარებად თქვენისა მწუხარებისა, რომელიც არს მწუხარება ყოველთა ქართველთაო.

*** ხუთშაბათს, ამ თვის 8, შიომღვიმეობას, მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოზი ალექსანდრე თანადასწრებით ბერ-მონოზან მ. ლეონიდისა და სხვა სამღვდელოთა ბრძანდებოდა ჩვეულებისამებრ მწირველი შიო მღვიმელის მონასტერში. გალობდა მამა კარბელაშვილი თავის დასით და წირვის დროს იმანვე წარმოსთქვა სიტყვა დღეობის შესახებ ქართულად, აგრეთვე ბერ-მონოზანმა მ. ლეონიდმა სთქვა სიტყვა რუსულად, რადგან მომეტებულნი

ფელეტონი

ყოველ თვიური პროვინციელისა

(გურია)

ძვირ-ხსენებულმა წარსულმა წელიწადმა, რომელმაც თავის უმადურსა და უგემურს სიცოცხლეში ნიადაგ ავაზაკები ათარეშა და აწავარდა ჩვენზე თავისუფლათ, სულის განტევების დროს ანდერძი თურმე დაუტოვა თავის მემკვიდრეს, რომ ეგ ხალხი შენც მოუსვენებელი და ძილ-დაფრთხობილი გყვანდეს, თორემ სადავეს წაგართმევს და მერმე ძნელია იმისი შეჩერებაო. ამით გათამამებულმა და თავ გასულმა ბალღმა უწყალოებისა და შეუბრალებლობის ნაყოფმა სრულიად არ ითაკილა ასეთი ანდერძის შესრულება და ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ტახტზე აბობღება, რომ უეცრად, ეგ რაღაც ჯანდაბა ინფლუენცია არის, მოგვისია და ისეთი საქმე დაგვმართა, წარსულიც დაგვავიწყა და მომავალზედაც გული აგვიცრუა. ინფლუენცია მოგვადგა კარს და ასეთი ბრძანება ჰქონდა თან: ეწვიე ყველას განურჩევლად სქესისა, წოდებისა, წლოვანებისა, სარწმუნოებისა და სამსახურისა, გაუშრე ყელი, გაუხმე ნაზველი, მოჰკვეცე მუხლები და სახსრები, ყურებში დიდრონი ზარები ჩამოჰკიდე და გამუდმებით ჰრეკე, დაუკარგე ჭამა-სმის მადა, წაართვი ღონე, შეუკეთე სიცხე, დააწვებინე ბოდვა და არ წააკარო ოფლი სამის დღის განმავლობაში. ასეთს ყოფაში გყავდეს შენგან ამორჩეული მსხვერპლი და შემდეგ თუ ვერას გახდე, მოიშველიე სხვა შენი თანამოძმე სენნი: ფილტვების ანთება, ყელის ტკივილი, მჭვალი და სხვანი, რომელიც საუმჯობესოდ დაინახო, რათა ავადმყოფი დაუყოვნებლივ გაისტუმრო იქ, საიდაც წარიმართნენ ცხონებულნი მამა-პაპანი მისნი და სადაც „მართალნი განისვენებენ.“

ამ ნაირად ინფლუენცია თუმცა ძნელი სახადი იყო, მაგრამ მარტო ის რას დაგვაკლებდა, თუ რომ ბრძანების თანხმად სხვებიც არ მოეშველებინა! მოიშველია და შენი მტერია ჩვენ საქმე დაგვმართა, სულ ზურგზე ბოლი აგვადინა, ჰერხიეით მიგვაწყო ლოგინზე და კარგი დღეები სიცხესა და ბოდვაში გაგვატარებინა. კარგია კიდევ ვისაც გაგვატარებინა მაინც სიცხე-ბოდვაში, ამას ვინა ჩივის, საქმე ის არის, რომ ბევრს მოუსწრაფა სიცოცხლე და უკან გაადევნა ძველს წელიწადს, თითქო უნდა დაუმტკიცოს იმ სულ-წაწყმედილს, რომ ასეთს ხათრიჯამს გიწევს შენი მემკვიდრე; იოტის ოდნადაც არ არღვევს შენის ანდერძის ძალას და თუ სიავით არა გმეტობს, შენზედ ნაკლები არ არისო. საკვირველი აქ არაფერია, რადგანაც „მსგავსი ყოველი მსგავსსა ჰშობს“. საკვირველი და საოცარი მხოლოდ ისაა, რომ, როგორც წარსულს წელს „стража“-მ წინააღმდეგ ავაზაკთა დაარსებულმა ისახელა თავი თავის უნარიანობით და გოლიათ გმირობით, ისე ამ წელს სნეულებათ წინააღმდეგ დადგენილ დარაჯთა დაგვიმტკიცეს, რომ ისინიც არაფრით ჩამორჩებიან უკან „стража“-ს თავიანთ მინდობილს საქმეში და მათი ხერხი და უნარი ისეთივე უებარი და უტყუარია, როგორც... მაგრამ რაღა როგორც, როცა მათის ქველობის და კეთილ-სინიდისიერობის შესადარს ვერას ვიპოვით.

მოგეხსენებათ, რომ ზოგს მაზრაში არსებობს სხვა-და-სხვა სენთა და ჭირთა მოსვლის წინააღმდეგ დარაჯობა და სადარაჯო ბანაკი. ჩვენშიაც ასეა. ერთი ამ გვარი ბანაკი ერთგან არის და მეორე მეორეგან და ჰქვიანთ „пріемный покой. ბანაკის უფროსთა მოგეხსენებათ თავის ხელ-ქვეითები ჰყავსთ და, რასაკვირველია, ისიც გეცოდინებათ, რომ რომელს დაწესებულებაშიაც ხელ-ქვეითები მოიპოვებიან, იქ ხელ-ზეითებს არა-რა უჭირსთ, რადგანაც ესრეთ წოდებული „порученіе“ შესაძლოა. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ „порученіе“ ისეთი გამაქარწყლებელი და დამაქუცმაცებელია ყველაფრისა, რომ სრულიადაც არ ჰრცხვენის თავის ხელზეითს თუნდ ასეთი და ანუ იმის მსგავსი მოხსენება მიართვას: „Въ ввѣренномъ мнѣ участкѣ нѣтъ атмосферическихъ явленій, а въ остальномъ все обстоитъ благополучно“-ო! აქედამ ცხადად გაიგებთ, თუ რა გვარ მედგარ ბრძოლას გაუმართავდნენ ჩვენში ინფლუენციას და სხვა სნეულებათა დარაჯნი ჩვენის ჯან-მრთელობისანი! ქალაქში რა მოგახსენოთ და სოფლად ყოვლად შეუძლებელია, თუნდაც ყველა სნეულება ერთად დაგხსმოდათ თავს, რომ ექიმი გეშოვათ. დარჩათ ბურთიცა და მოედანიც ფერშლებსა.

ამ სიტყვებიდამ უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ მკითხველთ, რომ არ დაასკვნან, ვითომ ამ გვარის საქციელისათვის ვამტყუნებდე აქაურ ექიმებს. სრულიადაც არა. იმათ ყველაფერში აქვსთ შესაწყნარებელი მიზეზი და გასამართლებელი საფუძველი და ჩვენ ძალიანაც რომ გვინდოდეს როგორ შეგვიძლია მათ ურიგობა რამ შევსწამოთ. ესეც რომ არ იყოს განა ცოტა საქმე აქვს გამომძიებელთაგან თავს მოხვეული! მოკლულთა და დაჭრილთა გაჭრა-შემოწმება დროს არ ითხოვს (თუმცა სიმართლე რომ ვსთქვათ, არც ყოველ დღე აქვს ესეთი საქმე)? ამ ნაირად თუ გინდათ ექიმმა განიხილოს თქვენი ჯანის მდგომარეობა და აგებულების ავ-კარგი, უნდა მოაკვლევინოთ ვისმე თავი, ან დააჭრევინოთ, ან გაალახვინოთ! ისე-კი ნუ გაქვსთ იმედი ავადმყოფო-

მლოცავნი რუსნი იყვნენ. ხალხი ცოტა დაესწრო აედრისა გამო.

*** ჩვენ შეეტყვეთ, რომ მათი ყოველად უსამღვდელოებისობა ეპისკოპოზი ალექსანდრე აპირებს შენობების მომატებას შიო მღვიმის მონასტერში და თვით ტაძრის განახლებასაც. ეს შენობა დაიწყება გაზაფხულზე. მასალა უკვე დაუმზადებიათ.

*** ახალ-ქალაქი: დიდის მწუხარებით შეგეტყვრო ქართველნი ქალაქ ახალ - ქალაქისანი მოულოდნელმა სიკვდილმა სახელოვანის ისტორიკოსისა და მამულიშვილისამ, ჩვენის დიმიტრი ბაქრაძისამ, რომელმაც მთელი სიცოცხლე თვისი შესწირა სამშობლოსა და მეცნიერებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ სიკვდილი იმისი შედეგია იმ გამუდმებულის, თითქმის დაუჯერებელის ჯაფისა, რომელსაც ისე უანგაროდ სწევდა განსვენებული იმისთვის ძვირფასის საქართველოსათვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ სახლობამ მისმა დაჭკარგა ძვირფასი მამა თვისი, საქართველომ— უკეთესი წარმომადგენელი, მეცნიერებამ — უკეთესი ისტორიკოსი და არხეოლოგოსი. დარწმუნებულნი ვართ, რომ დაკარგეა დიმიტრისა დიდი დასაკლისია, მაგრამ ღვაწლი და სახელი მისი იყოს ნუგეშად ჩვენდა და სახლობისა მისისა.

*** კოდორი (სენაკის მაზრა): აქ გარდაიცვალა ამ დღეებში ხონის საოსტატო სემინარიაში ახლად სწაელა შესრულებული ყმაწვილი კაცი, ანდრია ჩაჩავა. ის-ის იყო დაანება სკოლას თავი განსვენებულმა, მამის ერთადერთმა შვილმა. გამოვიდა ისეთს ნაყოფიერსა და ქვეყნისათვის სასარგებლო ასპარეზზედ, როგორიც არის მასწაელებლობა, და უწყალო სიკვდილმა-კი აღარ დააცალა ყმაწვილს კაცს თავისი ხვედრი სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისათვის, როცა იგი მასწაელებლად იყო დანიშნული. დიდად მწუხარე მამამ სთქვა შვილის საფლავზე: ღარიბი ვიყავ, მე ვიკლებდი ყველფერს და ამას ვზრდიდი, რომ ეგებ მეც ნუგეშად მყავდეს და ჩემს მომმესაც სარგებლობა მოუტანოსო. სიკვდილმა წამართვა ეს ერთადერთი ნუგეში და ჩემმა ცდამა და ბეჯითობამ ნაყოფად ეს საზარელი, მაგის მიწის საფლავი გამიღო ღმერთმა წამართვა ეს ერთად ერთი ჩემი იმედი და მეც მომესპო ღონე სიცოცხლისა. ეს ჯალარა-ღა შემრჩაო, სთქვა უკანასკნელად მწუხარე მამამ, წაიღო ხელი თმაში და ერთი ბღეჯა თმა საფლავში ჩაატანა შვილს: გიყვარდა, შვილო, მამიშენის გათეთრებული თმები და აბა, ამასაც საფლავში გატანო. დამწერეთ ცრემლი ეველ შეიმაგრეს.

*** სადნადი: იანვრის გასულს აქ შემოაკვდათ ორს მოჩხუბარს ერთი საწყალი ნალბანდი, რომელიც ჩაერია სხვის ჩხუბში და გაშველება უნდოდა. ჩხუბი მოსცოლოდათ ერთს ეზიყელს მეურმესა და ეიღაც ფაციაშვილს , რომლის ბარეიც მოჰქონდა მეურმეს სოფელ გურჯაანიდგან. საკოდაეს ნალბანდს მუცელში შესცეს ხანჯალი და იქვე სული გაფრთხობინეს. ჩხუბი იყო ერთს აქაურს ბაკში, რომელიც იმ ნალბანდს ჰქონდა იჯარით აღებული.

*** აქედამგე: ამას წინად, როგორც თქვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, აქ გასტეხეს დუქანი მ. სანინის. პოლიცია მაშინვე დაფაცურდა და ქურდ-ბაცაცები უკვე აღმოაჩინეს. ჩვენკენ თებერვლის დამდეგსეე დიდი თოვლი მოვიდა, რომელიც ახლა დნება და საშინლად ატალახიანებს უიმისოდაც ტალახიანსა და ბინძურს ქუჩებს ჩვენის სიღნაღისას.

*** ოთხშაბათს, 14 თებერვალს, ღილის 6 საათზე და 20 წუთზედ, როგორც ამბობს გაზ. „კავკაზი“, საკმაოდ ძლიერ იძრა დედამიწა.

◆◆

წერილები რედაქციის მივართ

I

ნება მაპოოეთ თქვენს გაზეთით მადლობა გამოგუცხადო ტფილისელ კაჭარს ნიკოლოზ ეკიკაშვილს ჩემს მატარა მოწყვეთაგან, რომელსაც მოუტანს ტფილისიდგან სხვენერად 30 ცალი რეკეული. ბინა ეკიკაშვილი პირველად მოვიდა ს. ხაშში ღვინობის ასყიდვად, გაიგო იმ სოფელში არსებობს სკოლა, და მეორე მოსაყიდად მოუტანა მოწყეთებს ნათქვამი სარეკელი და თანვე გუდითადი სურვილი, რომ აღიზარდნენ პატიოსანნი და მამულისათვის სასარგებლო კაცნი.

სოფ. ხაშის მასწავლებელი
ი. ჰაქრაძე

II

გიგზავნით ამისთანავე 30 მან. წასამძღვრანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ მოგროვილს ზაქანთაღში და გთხოვთ აკრეთვე დაბეჭდოთ „ფერეანში“ სია შემომწერეთლთა: ნ. მატარეკელი 2 მან , ტ. რეხიდაძე—3 მან , დ. გულისაშვილი—3 მან., ი. ვეარეკელაძე—3 მან., დ.ეკან. ს. ბალეკელი—3 მან., ტერ-სედრაკ მარტიროსიანი—1 მან., გ. ხალათოვი—1 მან., ვ. თოფეჩიევი—2 მან., ელენე ს. ტომსონისა—1 მან., ნ. ყარაგიოზოვი—1 მან., ი. ვეეძღოვი—1 მან., ს. ივანოვი—1 მან., დ. სადამონოვ - ერისთოვშვილი—1 მან., ს. ბეკელაშვილი—3 მან. და გ. ბურჭულაძე—3 მან. 25 კაპ.

შარშან წარმოდგენა გვქმართეთ თელეკეში წასამძღვრანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ, შემოხეკეიო სანთელი მეტი დაგეგრის ნასეკი, ასე რომ, ნამეწვეანის, რომ ეიანკარიშოთ, სამ გირვანქამდის იყო. ეს სანთელი მე მებარა, შემდეგ წარმოდგენისუე უნდა მოგეკსმარა, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოდგენა ვეღარ მოსწერსდა და სანთელი-ეი თელეკედან ზაქანთაღეში წამოვიდე მე. შემოსეკეს ეკედი გადამესადა და ეკეკესიდ ალარ იეკება. ეა აი, სინადისის გასაწმენდად ამ სამ გირვანქა სანთელში გეზავნი 75 კაპ. ამეკე სკოლის სასარგებლოდ. სულ 30 მანეთი. ტოტაა, მაგრამ წრფელის გულით მოძღვნილია.

გ. ბურჭულაძე
ქ. ზაქათალა

III

ამისთანავე გიგზავნით 37 მანეთს, რომელიც შეგროვდა სელეს-მოწერით ქალ. ახალ ქალაქში წასამძღვრანთ - სკოლის სასარგებლოდ შემდეგ შემომწერეთლთა: ნ: ბარმენი—5 მან., ადელესნდრე ფიტსელადური—3 მან., მელიტონ ა.ბაშიკ—2 მან. 15 კაპ. ვასილი მერაბიანც დოლმანაძე—2 მან., ვასო კონსტანტინოვი—2 მან., ადელესნდრე ალბაზიანი—2 მან., N N—2 მან., მამად ალი-ბეგ ფაფალეანდაშვილი—2 მან., ოსეფ ჩატაკ—1 მან., ივანე როსტომაშვილი—1 მან., ელისაბედ როსტომაშვილისა—1 მან., მაქსიმ ბერიაე—1 მან., სერგო არუთინოვი—1 მან., მუსტაფა ბეგ ფაფალეანდაშვილი—1 მან., არტემ ალასეანოვი—1 მან., აკოფ მარტიროვი—1 მან., ზარმა არგანოვი—1 მან., სტეფანე ირისეკუსოვი—1 მან., არშაკ გრიგორიანცი—1 მან., ტერ-გრიგოროვი—1 მან., სტეფანე ვართანოვი—1 მან., ადელესნდრე იპოკოლეკი—60 კაპ., მარა შარაბეკიანისა—60 კაპ., მედგედი ვინეკეკელაძე—60 კაპ., ჭაირეტ გრიგორიანცი—50 კაპ., ადელესნდრე მოსესიაკ ვეძედოვი—50 კაპ., ოტანეზ ვასრამიანი—50 კაპ. ვიდარშაკ მანანდოვი—50 კაპ., სედრაკ მარანეკეი—50 კაპ., სულ 37 მან. 45 კაპ.

აქედან დაბეჭდეკეთ 40 კაპ. ფფლის გამოსაგზავნად. მაშასადამე, დარჩა ნალდი ფფლი 37 მან. 5 კაპ., რომელსაც გეგზავნით თქვენ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ვ. ჯ—ი

◆◆

ნარკვევი

(ეურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთში მცხოვრები გერმანელები ძნელად ითვისებენ რუსულს ენასა და ამ მხრით მთავრობის სურვილს მათ შორის რუსულის გავრცელებისას ძალიან ეწინააღმდეგებინ. საკვირველი ადამიანია გერმანელი, სადაც უნდა წვიდეს, თუნდა ორმოც-სამოცი წელიწადი იცხოვროს ცხრა ზვავსა და ცხრა მთას იქით და გერმანია და გერმანელი თვალითაც არ ენახოს ამ ხნის განმავლობაში, თავისს ენას, თავისს ბუნებას მაინც არ დაჭკარგავს, არ მოიშალის, თავისებურობას არ გაიდუნჯრრებს და სხვის ენას, სხვის ზნე-ჩვეულებას ძველად შეიშვნევს, ძნელად შეითვისებს. აი სწორედ გერმანელების ამ თვისების განსაუურაუებელად არის სა ეურადღებო წერილი ბ-ნის ფედოროვისა, „Москов. Вѣдом.“-მი დაბეჭდილი. ეს ფედოროვი 12 წლის განმავლობაში ხერსონის გუბერნიის საერო სასწავლებლებული ხართ, რომ ამაზედ ხმის ამომღები და ყურადღების მიმქცეი არაეინ არის! არაეინ არის გაუპატიურებულსა და ღირსება აზდილს კაცურს ეინმე გამოესარჩლოს და ითქოს ის, ეინც არის ბრალი იმაში, რომ ასე დაუზოგველად კაცურს აქეეთებს!

**

რადგანაც ამ წერილში მხოლოდ უკეულმართობაზე მოგეიეიდა ლაპარაკი, ნება მიბოძეთ ბარემ ის უკეულმართობაც აღეწეროთ, რომელიეე საადგილ მამულო გარდასახადის განაწილებაზე მოხდა ჩვენში და რომელზედაც ბ-ნი გურიანთელი სრულიად სამართლიანად და გულ-ახდილად ჭლაპარაკობდა ამას წინად „ფერეანში“ (№-9 №). ბ-ნი რედაქტორიკი ამ ამბით განეეიფრებული, ჰშენიშნავდა: „ნუ თუ ეს ამბაეი მართალია?.. კარგი იქნებოდა, რომ ეს საგანი დაწერილებით გამოცხადებულიყოეო“. იმაზე უფრო დაწერილებით ამ საგნის გარემოება, რაც ბ-ნ გურიანთელისგან მოგეხსენთ, შეუძლია გიამბოსთ იმან, ეის ხელშიაც იყო ამ გარდასახადის განაწილება. მხოლოდ ბის ინსპექტორი ეოფილა და თავისს წერილში ამ გუბერნიაში მყოფ გერმანელთა კოლონისტების სასწავლებლებს შეეხება. აი რას ამბობს ამ სასწავლებლებს შესახებ, სხვათა შორის, ბ-ნი ფედოროვი:

ამ რვა წლის წინად უმაღლესი ბრძანება მოგეიგიდა, რომ გერმანელ კოდონისტების სკოლები სარო განთლების სამინისტროს უწეკებაში ჩარიცხეთო. ის იყო ინსპექტორებმა მოიარეს კოდონიები და ოქმი შადგინეს სასწავლებლების სამინისტროს უწეკებაში ჩარიცხვისა, რომ ამ ოქმეკი მოგეეე ბრძანება უმაღლესის მთავრობისაეე: „როცა კოდონიების სასწავლებლებს სარო განთლების სამინისტროში ჩარიცხავთ, იმა მდგომარეობაში დასტოვეთ ეე სასწავლებლები, რა მდგომარეობაშიაც ესხა არანო“. რა უნდა გეექოთ ამისთანა განკარგულების შემდეგ სამსწავლებლო უწეკებს. რადგანაც გერმანელთა სასწავლებლებში რუსულს ენას არ ასწავლიდნენ, სარო სასწავლებლების ინსპექტორები იმიელებულნი იყვნენ წლიურს ანგარიშში მხოლოდ გერმანელ სასწავლებლებისა და მოსწავლეთა რიცხვი აღენიშნათ.

შემდეგ, ორმა წელიწადმა რომ გაეარა, გერმა განკარგულება მოგეიგიდა ოდესის სამასწავლებლო ოდქის მზრუნველისაგან, რომ რუსული ენა შემოიღეთ გერმანელთა სასწავლებლებშიო. როგორ ეს განკარგულება გერმანელებს გამოეუეცხადთ, ზოგიერმა ბასტორებმა დაურიდებლად გეკითხეს: „თქვენი მზრუნველი ჩვენი მამაძენებელი და უფროსი არ არისო“. ზოგიერმა შემოიღო რუსული ენა, მაგრამ ისიც მხოლოდ უფროსს განეოფილებაში. მერე რა რუსული, რომ იცოდეთ. აი ერთი ნამუშა ამისი, თუ როგორ შეგირდებს ჭზრდის გერმანელთა სასწავლებელი და როგორ ასწავლის რუსულს. სწავლა-დამაკრებულს მოწაფეს უნდა დაეწეროს რუსული სიტყვა:

„Собака лежала на солышкѣ возлѣ забора“.

თოთხმეტის წლის ემაწვილმა ასე დასწერა ეს ნაკარნსეკი სიტყვები:

„Запака лизала на солышке возле сапора“.

ბაში ექიმი იხილოთ, ან ექიმმა გიხილოთ. ამას გარდა კიდეე სხეა პატიოსაცემი კანონიერი და არა კანონიერი მიზეზი უჩნდება ექიმს, რომ სოფელში სიარულით და აეადმყოფთა გასინჯეეთ თავი არ მოიბეზროს. მოდით და გაეუქმეთ ეს მიზეზები. რასაკვირველია, ეს არც შეიძლეა და არც ჩვენ შეგეიძლიან. მხოლოდ, ეეოლნებ, ნება გვაქეს ესთქვათ, რომ კაცას თუ თეეზი უყეარს წყალში ფეხების დასეელებასაც არ უნდა ერიდებოდეს!

**

მაგრამ ეჰ! სხეა ეინ არ უკეულმართობს ამ მართლა და უკეულმართს კუთხეში რომ მაინცა და მაინც ექიმები წაღმართობდნენ! ერთ გეარი უკეულმართობა აქაურ სასმელების მოეაჭრეთაც შეეამჩნიეთ, და, თუ უკაცრაეად არ ეიქნებით, გაგიზიარებთ ამ უკეულმართობის ამბაესაც. ზემოდ ხომ მოგახსენეთ, რომ ჩვენში აეადმყოფი ექიმის ნახვას ეერ ეღირსება და ამიტომ ორს ცეცხლშია ჩაეარდნილი. ერთის მხრით აეადმყოფობას ჩაეეეანა კლანჭები და სამარისაკენ ეწეეა და მეორეს მხრით დარდი და ბრაზი უწყეტს ილაჯს, უწყლაეს გულს, რომ ერთი ექიმი ჩემთეის რატომ დაილიაო. ექიმს ეენახე ეგებ ეგ ცელიანი სტუმარი როგორმე თავიდამ მომეშორებინო. ესთქვათ ისეთს ბედნიერს ეარსკეელაზე ხარ დაბადებული და თან ისეთი მაგარი აგებულების პატრონი, რომ სენსაც გაუმაგრდი და დარდმა და ბრაზმაც ეერაფერი დაგაკლო. ერთის სიტყეეთ ღეთის ანაბრობაზე მიგდებული კაცი გამობრუნდი სამარის კარიდამ, გამოგინელდათ სიცხე, დაგიბრუნდათ მადა, იგრძენით სიმშილი და გინდათ დანაყრდეთ. ეს უექიმოთაც იეეთ, რომ აღესის ღეინო ამ შემთხვეეაში თქვენთეის საეეველია და ძალ-ღონეს აღსადგენად საჭიროა ი დალოცვილი კახური. გზაენით კაცს ოზურგეთში, რადგანაც უურო ახლოს ეერ იშოვით, ნაცნობ ეაპართან და ღეინის ფასს გარდა დიდს თხოენას და მუდარას უეზაენით, რომ როგორმე საგანგებო ღეინო მოგაშეელოს. მოუთმენელად ელით თქვენ მიერ გაგზაენილ კაცის დაბრუნებას; კახურის მოლოდინი მადას ულიტინებს და ერთიორად აღეიძებს და აფრთოეანებს. დასასრულ გიბრალათ ღმერთმა და სანატელი აგიხდათ, მოგიტანეს რამდენიმე ბოთლი კახური თანდ ბეგლარ მირზოეის იარლიკით. მოხდეთ ბოთლს, იგემეთ ღეინო და წარმოიდგინეთ თქვენი განცეიფრება, რომ ამ ათას ნაირად დაბეჭდილს, დალუქულს და დაიარლიკებულს ბოთლში ნაცელად კახურისა ჰხვდეეთ რაღაც ძრ-ისებურს სითხეს მლაშესა და მეაეეს. თქვენ არ უჯერეთ თქვენს საკუთარს გემოვნებას, ფიქრობთ, სიცხე კიდეე დამრჩენია და ღეინო ძეელაშეაო. მიაწოდეთ ამ ღეინის ჭაშიკს სხვებსაც და მშეიდობით იმედო! „კახური-კი არა, ღმერთმა აქაური ადეესაც ნუ გაეფუჭოს ისეო“ გეუბნებიან. ამა ეს ერთი ბოთლი, თორემ სხვაში მაინც, გეგონიათ, იპოეეთ კახურს, მაგრამ ნუ გაგიწყრესთ ღმერთო! ტყეილ უბრალოდ ჩაქრა გაღეიძებული მადა, გეზარალათ ფული და დაგეკარგათ თხოენა და მუდარა. რასა იქადა რა უნდა ჰქმნათ? ერთ ხანს კიდეე უნდა ლესოთ ლოგინი ბრაზით და გულის შებრუნებით, მეთ უმეტეს მაშინ, როცა დარწმუნდა—2 მან., N N—2 მან., მამად ალი-ბეგ ფაფალეანდაშვილი—2 მან., ოსეფ ჩატაკ—1 მან., ივანე როსტომაშვილი—1 მან., ელისაბედ როსტომაშვილისა—1 მან., მაქსიმ ბერიაე—1 მან., სერგო არუთინოვი—1 მან., მუსტაფა ბეგ ფაფალეანდაშვილი—1 მან., არტემ ალასეანოვი—1 მან., აკოფ მარტიროვი—1 მან., ზარმა არგანოვი—1 მან., სტეფანე ირისეკუსოვი—1 მან., არშაკ გრიგორიანცი—1 მან., ტერ-გრიგოროვი—1 მან., სტეფანე ვართანოვი—1 მან., ადელესნდრე იპოკოლეკი—60 კაპ., მარა შარაბეკიანისა—60 კაპ., მედგედი ვინეკეკელაძე—60 კაპ., ჭაირეტ გრიგორიანცი—50 კაპ., ადელესნდრე მოსესიაკ ვეძედოვი—50 კაპ., ოტანეზ ვასრამიანი—50 კაპ. ვიდარშაკ მანანდოვი—50 კაპ., სედრაკ მარანეკეი—50 კაპ., სულ 37 მან. 45 კაპ.

აქედან დაბეჭდეკეთ 40 კაპ. ფფლის გამოსაგზავნად. მაშასადამე, დარჩა ნალდი ფფლი 37 მან. 5 კაპ., რომელსაც გეგზავნით თქვენ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ვ. ჯ—ი

◆◆

ნარკვევი

(ეურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთში მცხოვრები გერმანელები ძნელად ითვისებენ რუსულს ენასა და ამ მხრით მთავრობის სურვილს მათ შორის რუსულის გავრცელებისას ძალიან ეწინააღმდეგებინ. საკვირველი ადამიანია გერმანელი, სადაც უნდა წვიდეს, თუნდა ორმოც-სამოცი წელიწადი იცხოვროს ცხრა ზვავსა და ცხრა მთას იქით და გერმანია და გერმანელი თვალითაც არ ენახოს ამ ხნის განმავლობაში, თავისს ენას, თავისს ბუნებას მაინც არ დაჭკარგავს, არ მოიშალის, თავისებურობას არ გაიდუნჯრრებს და სხვის ენას, სხვის ზნე-ჩვეულებას ძველად შეიშვნევს, ძნელად შეითვისებს. აი სწორედ გერმანელების ამ თვისების განსაუურაუებელად არის საუურადღებო წერილი ბ-ნის ფედოროვისა, „Москов. Вѣдом.“-მი დაბეჭდილი. ეს ფედოროვი 12 წლის განმავლობაში ხერსონის გუბერნიის საერო სასწავლებლებ-

მასწავლებელმა, ვითომ-და რუსულის ენის მცოდნემ, ეს დაწერილი ასე გაუსწორა:

„Сопака лезала на сонышке возли собора“.

როცა ინსპექტორმა განაცხადა, რომ ეხლანდელი მასწავლებელი რუსულის ენისა მოსაწონი არ არის და კარგი იქნებოდა, უფრო უკეთესი და გამოცდილი მასწავლებელი მოგეწვიათო, პასტორმა უპასუხა თურმე, რომ მასწავლებლის დათხოვნა-მოწვევა ჩემზედ არის დამოკიდებული და ეხლანდელი მასწავლებელი-კი მე ძალიან მომწონსო. აქვე უნდა დავუმატო, რომ პასტორს თარჯიმანის შემწეობით ველაპარაკებოდით, რადგან ამ პასტორმა, თუმცა ოცი წელიწადი იმყოფებოდა იმ კოლონიაში და 70—80 ვერსის მანძილზედ სცხოვრობდა ოდესიდგან, რუსული მხოლოდ ერთად-ერთი სიტყვა იცოდა და ეს სიტყვა „გამარჯობა“ იყო.

გერმანელები იმ აზრისანი იყვნენ თურმე, რომ რუსული ენა რომ ვასწავლოთ ყმაწვილებს, ეს ენა გერმანულის კარგად შეთვისებას ხელს შეუშლის და ის ხომ აშკარაა, რომ

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს
ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმიდას“.

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. ჩვენმა მკითხველებმა ცოტად თუ ბევრად დეპეშებიდგან უკვე იციან ახალგაზრდა, ოცის წლის ჭაბუკის ჰერცოგის ორლეანის საქმე. ყმაწვილი კაცი ამ ჟამად დაპატიმრებულია და 31 იანვარს გაასამართლეს კიდეც. პრინცს არაფერი ბოროტმოქმედება არ მიუძღვის, მხოლოდ ის ბრალი ედება, რომ თავისს საფრანგეთის მიწა-წყალზედ გადასვლით დაარღვია 1886 წლის 10 ივნისის კანონი. ეს კანონი რესპუბლიკის მიწა-წყალზედ ყოფნას უკრძალავს შთამომავლობით საფრანგეთში ნამეფევართა გვარეულობის უფროსს შვილებს. 31 იანვარს სასამართლოში დამნაშავეს დამცველად ჰყოლია ვექილები რუსსი და ლიმბური. სწორედ თორმეტს საათზედ დაიწყეს განხილვა საქმისა.

პრეზიდენტი ჰერცოგს ეკითხება: თქვენი სახელი ლიუდოვიკ-ფილიპე რობერტია?

ბრალდებული. ჰერცოგი ორლეანისა.

პრეზიდენტი. თქვენ შვილი ხართ გრაფ პარიჟელისა, შვილი მეფე ლიუდოვიკ-ფილიპეს შვილიშვილისა, იმ ლიუდოვიკისა, რომელიც 1848 წლის 16 თებერვლამდე ჰმეფობდა. კარგად იცით, ბ-ნო ჰერცოგო, რომ 1886 წ. 10 ივნისის კანონით საფრანგეთის რესპუბლიკის მიწა-წყალზედ აღკრძალული აქვთ ყოფნა მეფის შთამომავლობის უფროსს შვილებს. თქვენ ის ბრალი გედებათ, რომ ეს კანონი დაგირღვევიათ. გაქვთ რამე სათქმელი?

ბრალდებული. მე იმიტომ მოვედი საფრანგეთში, რომ ჯარის ბეგარა გადამეხადო. პოლიტიკა მხოლოდ მამაჩემს შეეხება, იმ მამაჩემს, რომლის ერთგული და მორჩილი მოსამსახურე გახლავართ. მე, დეპუტატთა პალატაში-კი არა, სამხედრო ბეგარის დაწესებულებაში წარსადგომად მოვედი და მხოლოდ იმას ვიყავ მოწადინებული, რომ ჩემის სამშობლოსათვის სამსახური გამეწია და კეთილის მოქალაქის მოვალეობა ამესრულებინა. მე ჩემი სამშობლო მიყვარს და ეს-კი განა დანაშაულია? არა. (მიუბრუნდება თავისს ვექილებს) გულითადად გმადლობთ, ჩემო მრჩევლებო, ერთგულებისათვის, მაგრამ გთხოვთ-კი, რომ ნუ ეცდებით ჩემს დაცვასა და დაფარვას. გადახვეწილობის დროს მეშვეობით მართლ-მსაჯულებისა და უფლების პატივისცემას და იმათს განაჩენს დაემორჩილები კიდეც. მე მოწყალებას არავისა ვსთხოვ, მაგრამ თუ განმსჯიან და ბრალეულად მიცნობენ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემის წლოვანების 200,000 ყმაწვილი კაცი, ჯარში მოწოდებული, მე გამამართლებს.

პრეზიდენტი. უკვე გამოგიცხადეთ, ბ-ნო ჰერცოგო, რომ ლაპარაკი დანაშაულის შესახებ-კი არა გვაქვს, კანონის დარღვევს თაობაზეა. ეს კანონი თქვენ საფრანგეთის მიწა-წყალზედ ყოფნას გიკრძალავთ. თქვენც ხომ თანახმა ხართ, რომ ასეთი კანონი არსებობს?

ბრალდებული. ეს კანონი რომ არა არსებობდეს, მე ეხლა კონსიერჟერში არ ვიქნებოდი.

პრეზიდენტი. სასამართლო ვერც ავს იტყვის კანონისას და ვერც კარგს. იგი ვალდებულია მხოლოდ, რომ ამ კანონით დასაჯოს ისინი, ვინც-კი დაარღვევს.

ჰერცოგი თავის ალაგასა ჯდება. საზოგადოება დამშვიდებულია.

ბრალმდებლის ამხ. რასაც უნდა მოეყვანოს აქ ჰერცოგი ორლეანისა, რა განზრახვასაც უნდა ემოქმედებინოს, პრინცის საფრანგეთის მიწა-წყალზედ ყოფნა კანონის, უფლების დარღვევაა ისე აშკარად, რომ ამაზედ ლაპარაკიც-კი მეტი და უადგილო იქნება. ამიტომ მთავრობამ სამართლიანად გადასწყვიტა, რომ ჰერცოგი სამართალში მიეცა. მე არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ ჰერცოგი თავის მართლებას არა ნდომულობს, რადგან რას იტყვის კაცი თავის დასაცველს, რითი იმართლებს თავს, როცა კანონი ასე აშკარად, ასე ცხადად არის დარღვეული. ბ-ნო მოსამართლენო, თქვენც სწორედ კანონის თანახმად იმოქმედეთ ამ საქმეში. თვით ჰერცოგი ორლეანისა არ უარ-ჰყოფს და განაცხადა, რომ ეგ კანონი კარგად ვიცოდი და უცოდნელობით, უვიცობით არ დამირღვევიაო. თქვენი მოვალეობაა ღირსეული მსჯავრი დასდოთ ასეთის ბრალისათვის.

დამცველი რუსსი. ჰერცოგი ორლეანისა საფრანგეთში მარტო და მხოლოდ იმ აზრით მოვიდა, რომ ჯარში იმსახუროს, თავის მოქალაქობრივი მოვალეობა აასრულოს. დაარღვია კანონი და არავისათვის უკითხავს-კი, რომ ასე მინდა მოვიქცეო, მხოლოდ თავისის სიჭაბუკის სურვილსა და გულის თქმას აჰყვა. დიაღ, თავისის ნებით დაარღვია კანონი, და ნება მომეცით იმ აზრისა ვიყო, ბატონებო, რომ თქვენც თანაუგრძნობთ საქციელს ამ ოცის წლის ჭაბუკისას, იმ საქციელს, რომელიც მთელს მაგის სიცოცხლეს გაამშვენიერებს და ნათელს მოჰფენს. ამ უკანასკნელს დღეებში ჰკუა-დამჯდარ კაცების ნალაპარაკევს მოვკარ ყური, რომ „სიყმაწვილით მოსვლიაო“. თუ ჩემს აზრს იკითხავთ, მოწყალენო ხელმწიფენო, ღმერთსა ვსთხოვ, რომ შიშისა და ფათერაკის დროს ჩვენ შორის რაც შეიძლება ბევრი იყოს ამისთანა ყმაწვილი (ტაშს უკრავენ). ღმერთმა ინებოს, რომ, როცა ჩვენს სამშობლოს მტერი შემოესევა, ეს ყმაწვილები ფეხზედ წამოიშალნენ და სამშობლოს დაცვის უფლება მოითხოვონ! ღმერთმა ინებოს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკამ, ამ ძლიერმა და ბრძენმა რესპუბლიკამ, შეიძლოს ხოლმე და უკანვე დაუბრუნოს საფრანგეთს ასეთი ჯარის-კაცები, ის ჯარის-კაცები, რომელთაც კარგად ახსოვთ ანდერძი მამა-პაპათანი და განმაცხოველებელნი არიან ჯარში იმ დიდებულთა ადამიანთა, რომელთა სახელიც არ დავიწყებიათ! მაპატიეთ, ჩემო ჭაბუკო მრწმუნებელო, თქვენ ლაპარაკი და თავის მართლება არ გიყვართ, მაგრამ ვექილი დაჩუმებასა და დადუმებას ჩვეული არ არის. რაც თქვენ შეგეხებათ, ბ-ნო მოსამართლენო, თქვენ ის გითხრათ ბრალმდებელმა, რომ სასტიკად დასაჯეთო. თქვენს ხელთ გადმომიცია, ბედი-კი არა, საქმე ამ ყმაწვილის კაცისა და გთხოვთ კარგად მოიფიქროთ, მართლა დასასჯელია თუ არა ეს ჭაბუკი. თუ დასჯით, როგორც თითონაცა სთქვა, თქვენს მსჯავრს მორჩილებით მოისმენს, მაგრამ, გიმეორებთ, თქვენს შორისაც ძნელად თუ ერთიც არის გამოჩნდეს, რომ თავის გულში ამის თქმა არ შეეძლოს: «ამ ყმაწვილის კაცის, დასჯის მაგიერ, დაცვას ვირჩევდიო» (დარბაზში საზოგადოება ჰღელავს). მე და ჩემი ამხანაგი ლიმბური იძულებულნი ვიყავით დავმორჩილებოდით ჩვენის მრწმუნებელის შეურყეველს სურვილს, ამ ოცის წლის ჭაბუკის სიბრძნეს, იქნება უფრო ბრძნულს, ვიდრე თვით ბრძენთა სიბრძნეა.

მოსამართლენი გავიდნენ და თხუთმეტს წუთს შემდეგ შემდეგი განაჩენი დაადგინეს: ორის წლით იქმნეს ლიუდოვიკ-ფილიპე - რობერტი ჰერცოგი ორლეანისა დაპატიმრებული და იმასვე გადახდეს ყოველივე სასამართლოში საქმის საწარმოებელი ხარჯიო.

◆◆

დეპეშები

14 თებერვალი

პეტერბურგი. „Гражданинъ“-ი იუწყება: საერო განათლების მინისტრმა ცირკულიარით აცნობა სამასწავლებლო ოლქთა მზრუნველებს, რომ ამიერიდგან წესად უნდა დაიდოს და ლოცვა მეფისათვის ყველა სასწავლებელში რუსულს ენაზე უნდა ასწავლონ ბავშვებს. ამ წესის შეუსრულებლობა შეიძლება მხოლოდ სხვა სარწმუნოების ბავშვთა სასწავლებლებში, თუ ამისთვის ნება დართეს შინაგან საქმეთა და საერო განათლების მინისტრებმაო.

გუშინ მოვიდა პეტერბურგს მთავარმართებელი კავკასიისა, თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი.

ბუდა-პეშტი. დეპუტატთა პალატაში ოპოზიცია თავისს აურზაურს არ იშლის. აბრანიმ სთქვა: „ტისას ისეთი პირის კანი აქვს, რომ სირცხვილის ალმური არ ეკიდებაო“. პრეზიდენტმა პეჩიმ შენიშნა, რომ უმართებულობაა მაგისთანა სიტყვების ხმარებაო. ამ შენიშვნამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია; ოპოზიცია პრეზიდენტს მუშტებით ემუქრებოდა; უგრონმა წამოიძახა: „ჩვენ ამ ალიაქოთსა და აურზაურს არ შევსწყვეტთ იმ დრომდე, ვიდრე ტისა სამსახურს თავს არ დაანებებსო“. აბრანიმ პრეზიდენტს თავისი სეკუნდანტები გაუგზავნა, მაგრამ, მოლაპარაკების შემდეგ, დუელი აღარ მოხდა.

ბრიუსელი. ბელგიის მთავრობამ შეუთვალა გერმანიისას იმის პასუხად, რომ ბერლინის კონფერენციაზე იქმნა მიწოდებული; სულითა და გულით მზადა ვართ მივიღოთ მონაწილეობა კონფერენციაში და პატივისცემით ვეგებებით დიდ-სულოვნობით აღსავსე განზრახვას იმპერატორისასაო. ამასთან ბელგიის მთავრობა დასძენს: ჩვენ რომ კონფერენციის პროგრამა ვიცოდეთ, იქნება დავუმატებდით რამე, მეტადრე იმ საჭიროებათა შესახებ, რომელიც შედეგია სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა-და-სხვა გვარის კანონ-მდებლობისა და თვით შრომის ვითარებისაო; აგრეთვე იმის შესახებაც, რაც მოსდევს შრომის საერთაშორისო ვითარების სხვა-და სხვაობას საბაჟო საქმის მისედვისამებრო.

რუდე. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ცალიერ ლაპარაკის მსჯელობად გადაქცევას და მსჯელობის საქმედ გარდაქმნას მეთაური, წინამძღოლი კაცი ეჭირება და აქ მხრით-კი ძალიან ქუსატათ გახლავართ და მხოლოდ ის იმედი-ღა დაგვრჩენია, რომ ამ ახლო ხანში მამულების გამიჯვნა გათავდება და ამით ჩვენს წყლულსაც მალემო დაედება. თუმცა არც ის არის დასავიწყი, რომ პეტრეს მოსვლამდე პავლეს თავისი დაემართება!..

**

თუ თავი არ მოგაბეზრეთ (საეჭვოდ აღარ არის, ვგონებ) კიდევ მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას ერთს უკულმართობაზე, რომელიც, რასაკვირველია, თქვენც ჩემზე ნაკლებად არ გექნებათ შენიშნული, მაგრამ რომლის გამოც მეც, კაჭკაჭის არ იყოს ჩემის თქმა მწადიან და ნურას უკაცრავად, წარსულის წლის „ივერიის“ მე-247 №-ში ბ-ნმა შუბნელმა დაჰბეჭდა წერილი შესახებ წიგნთ-საცავის საჭიროებისა ყველა სასოფლო სკოლებისათვის. ამ წერილის ავტორს ეტყობოდა, რომ ძლიერ დაკვირვებული და გამოცდილია სასოფლო სკოლების საქმეთა მსვლელობა-მიმდინარეობასა და ავ-კარგიანობაში. ეტყობოდა, რომ ძლიერ კარგად იცნობს ეხლანდელ საერო სკოლის ოსტატთა და იმათ შეგირდთა და ნაშეგირდალთ და ამაების მიხედვით ამტკიცებდა, რომ მოსწავლეთა გონების საფარჯიშო მოედნათ მარტო „დედა-ენა“ არა კმარა და, გარდა მელიის ეშმაკობასა და ოინებისა, სხვა რამეც უნდა მიეცეს ჩვენს მოზარდს თაობას სულიერ საზრდოდაო. ამას გარდა თვით ოსტატნიც რომ არ დახურდავდნენ გონებით, არ დაწვრილმანდნენ სულიერად და არ გაქარაფშუტდნენ ზნეობრივად, მათთვისაც საჭიროა ჯეროვანის წიგნების მიწოდება საკითხავად, სახელმძღვანელოდ და მაგალითის მაჩვენებლადაო. საერო სკოლის ოსტატს ათასს თავ-სატეხს საგანსა და საკითხს წამოუყენებს წინ თავის საქმე და ნუ თუ ყოველისავე ამის პასუხი, ამის გამორკვევა ოსტატმა დიდებულიძის მიერ „ჩიქორთულად“ ნათარგმნს არითმეტიკაში უნდა ეძიოსო?

ჩვენ სრულიად ვეთანხმებოდით ბ-ნ შუბნელს და მასთან ერთად ვაღიარებდით წიგნთ-საცავის საჭიროებას ჩვენის საერო სკოლებისათვის. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ძალიან შემცდარი ბრძანდებოდა ყველაზე უპირველესად თვით ბ-ნი შუბნელი და იმას შემდეგ საკტად მოტყუებულნი ვყოფილვართ თურმე ჩვენ, მისი თანამოაზრენი და თანაალმსარებელნი.

ბ-ნ დ. ხ. (დონ ხანმა) ბ-ნ შუბნელს და მის მოსაზრებას ისეთი ფანდი გამოჰკრა (იხ. წარსულის წლის „ივერია“ № 270), ისეთ ნაირად გააქარწყლა, რომ წარმოდგენითაც არ შეგვეძლო წარმოგვედგინა ასეთი მარცხი ამ ძვალსა და რბილში გამჯდარის რწმენის გამო. რა გეწიგნ-საცავებათ, რას მიედებ-მოედებით, თუ იცითო, ბრძანა „დონ-ხანმა“ შუბნელის პასუხად. მე ისეთი რამ ვიცი, რომ არც წიგნთ-საცავი, არც წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა თქვენთვის საჭირო არ დარჩეს და მაინც-კი პირ-ნათლად და დიდებულად აასრულოთ თქვენი საქმე, თქვენი დანიშნულებაო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენ (საერო სკოლათა ოსტატებზე ამბობს) ხელთ-უპყარნი ხართ, არ იცით, საიდამ რა გამოვა და რაც უნდა გეჩიჩინოთ კაცი, მაინც ვერაფერს გაგაგებინებთ, რადგანაც ყურები ბამბითა გაქვთ გატენილიო. თქვენ რომ ყველანი ერთ დღეს ლევ ტოლსტოად იქცეოდეთ, ღრმად და გონიერად დაუკვირდებოდეთ ჩვენის ხალხის ცხოვრებას და ამ დაკვირვების ნაყოფად პატარ-პატარა (თუნდ დიდ-დიდსაც) მოთხრობებს დაგვიწერდეთ, რასაკვირველია, ისე, რომ არც ოსტატობა მიატოვოთ, ეგ ყველას ემჯობინებოდაო. უკულმართობაა, მაშ რა დარდუბალაა ასეთი შეუფერებელი ნახტომი! ერთი ეს ვკითხოთ ბ-ნ „დონ-ხანს“: ნუ თუ ლევ ტოლსტოი იმ ლევ ტოლსტოად დაიბადა დედის მუცლიდამ, რაც ის ეხლა არის? ნუ თუ მას თავის სიცოცხლეში ხელში წიგნი არ აუღია, არა უკითხავს რა, არ უვარჯიშებია გონება, არ გაუხსნია ტვინი? განა არ შეიძლება კაცი ლევ ტოლსტოიც იყოს და თან წიგნებსაც კითხულობდეს, წიგნთ საცავიც ჰქონდეს? ესეც რომ არ იყოს, თუ ლევ ტოლსტოობა ასეთი ადვილი საქმეა, თითონ რუსეთში რატომ არ გამოუჩნდა ამ კაცს ბადალი? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ-ნო „დონ ხანო“, რომ ჩვენს ცხოვრებას დიდი მანძილი აქვს გასავლელი, სანამ ლევ ტოლსტოისთანა ღვთისნიერი კაცი თუნდ ერთი, არა თუ ასი და ათასი, მოველენილ იქნებოდეს ჩვენში.

ამას შემდეგ მე დარწმუნებული ვარ, ბ-ნ „დონ-ხანს“ რომ შევჩივლო, ჩემს ლექსებს მუშტარი არა ჰყავს და არც „ივერია“ ჰბეჭდავს-მეთქი, მიპასუხებს: აი, შე ბედასლო და ქარაფშუტავ, ყოველს უნარს და მოხერხებას მოკლებულო, ამაზე ადვილი რაღაა ქვეყანაზე? იქეცი პუშკინად და სწერე ისეთი ლექსები, როგორსაც ის სწერდა და მაშინ ნახავ, თუ შენს ლექსებს მუშტარი არ ეყოლოს და თუ „ივერიამაც“ სიამოვნებით და მადლობით არ ჰბეჭდოს ისინიო?

ესეც ხომ ახალ მოდის მახვილობა იქნება, „ენა უკლიტოდ მორბედი“-ს ნაყოფი!

დათიკო გერმიცანაშვილი

ბელგიის სენატში ვან ჰუტმა სთხოვა მთავრობას, რომ ბერლინის კონფერენციაზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი საყოველთაოდ თოფ-იარაღის აყრის თაობაზედაო. ეს აზრი მოწონებულ იქმნა სენატის დასთა თითქმის ყველა წარმომადგენლისაგან.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა ცვლილებანი შინაგანის წესდებისა. ამ ცვლილებათა წყალობით შესაძლო იქნება ამას შემდეგ 30 კრებაზე არ მიეცეს ნება დასწრებისა პალატაში იმ დეპუტატებს, რომელნიც არ ემორჩილებიან პრეზიდენტს. დერულედმა წინააღმდეგობა გამოაცხადა ამ აზრისა: ეგ ღონისძიება ბავშური ღონისძიებაა და ბოროტად გამოიყენებს უმრავლესობის მიერ თავის ძალისაო.

15 თებერვალი

პეტერბურგი. ხმა არის, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეადგინა პროექტი ახდევინონ გარდასახადი იმ ხე-ტყისათვის, რომელსაც ხმარობენ არაყის მხდელი და სხვა ქარხნები და აგრეთვე გემების საზოგადოებანი აღმოსავლეთის ციმბირისანი. პროექტით, ერთის წლისა, ვისაც რა შეხვდება გაწერით, წინდვე უნდა შეიტანოს.

„Гражданинъ"-ი იუწყება, რომ ივლისისათვის მზადებაა შემოიღონ თანამდებობანი უჩასტკების უფროსებისა ათ გუბერნიაში კიდევაო, ხოლო იანვრისათვის — ყველა სხვა დანარჩენ გუბერნიებშიაცო. პროექტი საერო რეფორმისა უკვე წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის.

„Новости"-ი იუწყება, რომ გვარდიის კორპუსის დიდ აღლუმ გარდა, როცა მოელიან წარჩინებულ უცხოელ სტუმართა, ერთი დიდი აღლუმი კიდევ იქნება კავალერიისა, ანუ ცხენოსანთა ჯარისა, რომელიც გაიმლება სავარჯიშოდ ნარვამდეო.

„С.-Пет. Вѣд."-ის გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭოსათვის წარუდგენიათ ქაღალდი, რათა მიენიჭოს საქალაქო დებულება დაბა კახოვკას ტავრიდის გუბერნიაში; ეს დაბა შესამჩნევი ადგილია მით, რომ ვაჭრობა აქვს დიდი, საქონელს ეზიდება სამზღვარ გარედ მრავალს და დიდ-ძალი მუშა ხალხია თავ-მოყრილიო.

ბრიუსელი. სენატის კრებაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ მე ვერ შევიწყნარებ ვან-ჰუტის წინადადებას, ჩამოვაგდოთ ლაპარაკი, რომ ყველამ თოფ იარაღი აიყაროს მშვიდობიანობის დასამყარებლადო.

კოპენჰაგენი. ოფიციალურად მოვიდა ამბავი ბერლინიდამ, რომ თავადმა ბისმარკმა გადასდო იმის გადაწყვეტა, უარი ჰსთქვა პრუსიის მთავარ-მინისტრობასა და იმპერიის კანცლერობაზე თუ არაო, იმ დრომდე, ვიდრე გამოირკვევა, რას იტყვის არჩევანები და ან როგორ გათავდებაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი — უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია — 17.

თებერვალი 28 დღით არის

16 დღე პარასკევი. ქართველი წმ. მოწამისა პამფილესი და სხვათა. კათოლ. წმ. იულიანი და ლეოკადისა. სომეხ. 5 დღე დიდ-მარხვისა. უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე 1801 წ. მზე ამოდის 6—37, ჩადის 5—49. ჭეშმარიტი შუა დღე 12—12. მთვარე 8 დღისაა.

17 დღე შაბათი. ქართველი წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. კათოლ. წმ. დონატისა და თეოდულასი. სომეხ. 9 დღე დიდმარხვისა. — წმ. თეოდორესი მხედრობისა. მზე ამოდის 6—35. ჩადი. 5—50, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველი წმიდათა შორის მამისა ლეონ, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. სამსონისა, მაქსიმესი დი კონსტანციისას სომეხ. წმ. კონსტანტინეპოლში მომწყვდართა, 7 დღე დიდმარხვისა. საქართველოში შემოიღეს ახალი წესდებულება სასამართლოსი 1868.; გაიხსნა ამავე წელს თბილისში საქალაქო საავათმყოფო. მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართველი წმიდისა მოციქულისა არხიპისა. კათოლ. წმ. კონრადისა გობინისა და გოდფრიდასი. სომეხ. 8 დღე დიდმარხვისა. გრ. ზუბოვი დანიშნეს მხედრობის მთავარ სარდლად აღა-მაჰმადხნის წინააღმდეგ 1796 წ. ბატონ ყმობის განთავისუფლება აფხაზეთში 1871 წ. მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. ჭეშმარიტი შუა დღე 12—12, მთვარე 11 დღ საა.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 თებერვალს 1890 წ., დილის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნოდა მატრონა ანდრიას ასულს კოვშოვისას და რომელიც იმყოფება ტფილისის 1 ნაწილსა და 1 განყოფილებაში, მოსკოვის ბალკაში. ეს მამული ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლია ფლიგელითურთ. მიწის ზომა 30 ოთხი-კუთხი საჟ. აქვს. მამულის საზღვრები: ჩრდილოეთით უძეეს გაბაშვილის მამული, აღმოსავლეთით — ობრიევისა, სამხრეთით — სახლი გერასიმენკოსი და დასავლეთით — ანდრეევისა. ვაჭრობა 870 მან. და 31 კაპ. დაიწყება. მსურველს შეუძლიან მამულის შესახებ ყოველივე დაწვრილებული ცნობა შეიტყოს ამავე ბანკში ყოველ დღე.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

	მან.	კაპ.
ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. აბნაზაროვისა	„	40
იაენანამრა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა	„	10
კედლის კალენდარი ჩარკვიანისა	„	40
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული	„	10
საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . .	„	10
საეროო კედლის კალენდარი, 1890 წ. ექ. ხელაძის გამოცემა . . .	„	52
ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი . . .	„	30
უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული. . .	„	40
საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე . . .	„	50
ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა .	„	10
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი	„	55
თვით მასწავლებელი ბიაშვილისა	„	45

მიიღება ხელის-მოწერა 1890 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ"

და

რუსულ „ПАСТЫРЬ"-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლეს სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის: 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაური შესანიშნავი და საინტერესო „მწყემს"-ში დაბეჭდილი სტატიები; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამოუკიდებელი კუთხე რუსეთის იმპერიისა, და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით „მწყემსი" 5 მ.		6 თვით „მწყემსი" 3 მ.	
„ „ორივე გამოცემა 6 „		„ „ორივე გამოცემა 4 „	
„ „რუსული 3 „		„ „რუსული 2 „	

რედაქცია იმყოფება ქ. ტფილისში, ოკრიბელიძის ქუჩაზე, № 20, რედაქტორის საკუთარ სახლში.

რედაქციას აქვს კანტორა: ქ. ქუთაისში, ხახანაშვილების სახლში, და ღ. ყვირილიანისა, რედაქტორის საკუთარ სახლში.

გაზეთის ხელის მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორაში. ბარემ მსურველებს გაზეთის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ контору редакціи „МЦКЕМСИ" и „ПАСТЫРЬ".

სასტუმრო

„პურ-ღვინო"

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივისა და ევროპიულს გემო ენებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითოურად 12 შაური. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისავე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და საზღვარ გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—7)

რძის ფქვილი ნესტლესი ღირს 1 მან.

ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ღირს 85 კაპ.

ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხან გობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგოროვის სახლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Александръ Венцель

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ქურქლისთვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

(12—8)

Открыта подписка на 1890 годъ

на общественно-литературную ежедневную газету

КАСПІЙ.

(Изданія годъ десятый.)

Увеличивая форматъ газеты, редакція нашла возможнымъ оставить прежнюю подписную цѣну, такъ что въ 1890 году газета „Каспій" будетъ стоить:

съ доставкой въ Баку:

на годъ 7 руб., на полгода 4 р., на 3 мѣсяца 2 р. 50 к., на 1 мѣсяцъ—1 р.

Съ пересылкой въ другіе города:

на годъ—8 р. 50 к., на полгода—5 р., на 3 мѣсяца—3 р., на 1 мѣсяцъ—1 р. 50 к.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ по соглашенію съ редакціей, но съ тѣмъ, однакожъ условіемъ, чтобы при подпискѣ было внесено не менѣе 3 руб., 15 февраля—2 р. и 15 марта—2 р.

Газета „КАСПІЙ", издающаяся въ центрѣ русской нефтяной промышленности, въ г. Баку, на первомъ планѣ ставитъ разработку нефтяного вопроса; но удѣляя значительное мѣсто названной промышленности, „КАСПІЙ" не оставляетъ безъ вниманія жизни города и всей губерніи и выясненіе нуждъ этого малоизвѣстнаго и почти неизслѣдованнаго края ставится редакціей на ряду съ разработкой нефтяного дѣла.

Вмѣстѣ съ тѣмъ, желая удовлетворить требованія тѣхъ изъ читателей, которые не могутъ по разнымъ причинамъ пользоваться столичными газетами, „КАСПІЙ", не ограничиваясь помѣщеніемъ агентскихъ телеграммъ, даетъ краткія свѣдѣнія о всѣмъ происходящемъ на Кавказѣ, въ Россіи и заграницей.

Подписныя деньги на газету адресуются: въ г. Баку, въ контору газеты „Каспій", д. Красильникова. (3—2)

Доз. ценз. Тифлисъ 15-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.